საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 9011/01
24/08/2021

9011-01-2-202108241436

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“
მის: ქ. თბილისი. ი. ჭავჭავაძის გამზ. N34
ელ.ფოსტა: official@gulf-ge.com

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 27 ივლისის N13282 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, აეროპორტის დასახლებაში ნავთობპროდუქტების საცავის (4200 $მ^2$ ტევადობის, 25 000 ტ ტვირთბრუნვით ნავთობბაზის) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას (21500 $მ^3$ ტევადობის ნავთობბაზის მშენებლობას და ექსპლუატაციას).

გაცნობებთ, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა. ამასთან, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე).

ვინაიდან სამგორის რაიონში, ს/კ 01.19.26.004.054 მიწის ნაკვეთზე არსებულ ნავთობპროდუქტების საცავზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 24 ივნისის №2-929 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის №21 (24.04.2008) საფუძველზე, ხოლო წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, **„მოცემულ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილია ნავთობის ბაზის, ადმინისტრაციული შენობების და არსებული ნავთობპროდუქტების საცავის (სარეზერვარო პარკის) განახლება-რეკონსტრუქცია და ბაზის ტვითბრუნვის მოცულობის გაზრდა“**, სკოპინგის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად. ამასთან, გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკოპინგის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად), თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას არ ერთვის სრულყოფილი shp ფაილები;

- 2008 წლის 24 აპრილის N21 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის ფართობი 2,294 ჰა-ს შეადგენს. ხოლო სკოპინგის ანგარიშში, 3.1 ქვეთავში აღნიშნულია, რომ საქმიანობის განხორციელება იგეგმება ს/კ 01.19.26.004.054 მიწის ნაკვეთზე, რომლის ფართობი 1,8121 ჰა-ს შეადგენს. აღნიშნული მონაცემები ერთმანეთს არ შეესაბამება და საჭიროებს დაზუსტებას;

- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ამჟამად საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულია 4 ერთეული 400 $მ^3$ მოცულობის ვერტიკალური მიწისზედა რეზერვუარი, ხოლო დოკუმენტის 3.1 ქვეთავში აღნიშნულია, რომ მითითებულ ტერიტორიაზე მდებარეობს შპს „სან პეტროლეუმ ჯორჯიას“ 21500 $მ^3$ ტევადობის ნავთობბაზა. 3.2 ქვეთავის თანახმად, **„ნათელი ნავთობპროდუქტების სარეზერვუარო პარკი მიწისზედა განლაგებისაა და შედგება 14 ც მიწისზედა ვერტიკალური ტიპის ცილინდრული რეზერვუარისგან, რომელთა ჯამური მოცულობა შეადგენს 21 500 $მ^3$-ს (ისინი დადგმულია მოტკეპნილი ინერტული მასალის საძირკვლებზე, მოშანდაკებული ზედაპირიდან 50 სმ-ის სიმაღლეზე). ესტაკადა და ყველა რეზერვუარი უზრუნველყოფილია დამიწების მოწყობილობებით და მეხამრიდებით. ყველა რეზერვუარი აღჭურვილია საჭირო საექსპლუატაციო მოწყობილობებით“.** ამავე ქვეთავში წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე უკვე მოწყობილია ტექნოლოგიური მილსადენები, მიმღები კოლექტორები, სატუმბი სადგური, ავტოცისტერნებში გასაცემი კუნძული, ავტოცისტერნების ესტაკადები, სარეზერვუარო პარკი, სანიაღვრე სისტემა. სკოპინგის ანგარიშის სხვადასხვა თავში წარმოდგენილი ინფორმაცია ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და არ იძლევა საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობისა და დაგეგმილი სამუშაოების შეფასების საშუალებას. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობისა (№21 (24.04.2008) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად მოწყობილი) და დაგეგმილი ინფრასტრუქტურის საკითხები;

- დოკუმენტში დაზუსტებული არ არის ავტოცისტერნებში გამცემ სატუმბოში განსათავსებელი ტუმბოების რაოდენობა;

- სკოპინგის ანგარიშში მე-12 და მე-15 გვერდზე სქემები და ნახაზები წარმოდგენილია რუსულ ენაზე. აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე;

- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე სამშენებლო მასალისა და სარეალიზაციო საწვავის ტრანსპორტირების მარშრუტისა და გამოყენებული გზების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრო სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით განახლებული სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე